

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სტიპენდიის მინიჭებისა და გაცემის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სახელობითი სტიპენდიის მინიჭებისა და გაცემის წესი (შემდგომში - წესი) არეგულირებს სტიპენდიის ოდენობას, სტიპენდიის მინიჭებასთან, შეჩერებასთან, აღდგენასთან, შეწყვეტასთან და სტიპენდიის გაცემასთან დაკავშირებულ სხვა ორგანიზაციულ საკითხებს.

2. წინამდებარე წესის შემუშავების მიზანია წარმატებული და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების წახალისება და ფინანსური მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებას.

მუხლი 2. სტიპენდიის მინიჭების წესი

1. სტიპენდიის მინიჭება ხდება ყოველი სასწავლო სემესტრის დაწყებისას უნივერსიტეტის ბაკალავრიატის იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ წინამდებარე წესით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. სტიპენდიის გაცემის/შეჩერების/აღდგენის/შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი შესაბამისი სკოლის წარდგინების საფუძველზე. სახელობითი სტიპენდიის შემთხვევაში სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს ინფორმაციის საფუძველზე გამოიცემა რექტორის აქტი.

მუხლი 3. სტიპენდიის სახეები, ოდენობა და მინიჭების საფუძვლები

1. უნივერსიტეტში არსებობს სამი სახის სტიპენდია: სტიპენდია, რომლის გაცემაც ხორციელდება სკოლებში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, სახელობითი სტიპენდია და არასაუნივერსიტეტო სტიპენდია.

2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტიპენდიები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- ა) სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 3 სტიპენდია;
- ბ) საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 2 სტიპენდია;
- გ) ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 2 სტიპენდია;
- დ) ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 2 სტიპენდია;
- ე) ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 1 სტიპენდია.

3. ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტიპენდიები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

ა) ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 1 სტიპენდია;

ბ) მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 1 სტიპენდია;

გ) ფინანსების და საბანკო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 1 სტიპენდია;

დ) ტურიზმის ბიზნესის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 1 სტიპენდია;

ე) კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 1 სტიპენდია;

ვ) მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 1 სტიპენდია;

ზ) გამოყენებითი ეკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 1 სტიპენდია;

თ) ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 3 სტიპენდია.

4. საგანმანათლებლო პროგრამების გაერთიანების შემთვევაში სტიპენდიის რაოდენობა განისაზღვრება თითოეული პროგრამისთვის გამოყოფილი რაოდენობის ჯამით.

5. სტიპენდიის ოდენობა შეადგენს 125 ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია-II-ის სახელობის სტიპენდიის ოდენობა, ასევე შედგენს 125 ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით. წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სტიპენდია შეადგენს 150 ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

6. სტუდენტი სტიპენდიას მოიპოვებს შემდეგი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში:

ა) სტუდენტს წინა სასწავლო სემესტრში გავლილ თითოეულ საგანში მიღებული უნდა ჰქონდეს შეფასების ქულა არანაკლებ 81-ისა;

ბ) სტუდენტის შეფასების ქულათა საშუალო ჯამი ყველა საგანში უნდა იყოს არანაკლებ 91-ისა და უნდა იყოს უფრო მაღალი იმავე საგანმანათლებლო პროგრამის სხვა სტუდენტებთან შედარებით.

7. წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სტიპენდიას მოიპოვებს უნივერსიტეტის მასშტაბით ყველაზე მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია-II-ის სახელობის სტიპენდიას მოიპოვებს პირი, რომელიც უნივერსიტეტის მასშტაბით აკადემიური მოსწრების რეიტინგში იქნება მეორე ადგილზე.

8. ერთი და იგივე შეფასების ქულათა საშუალო ჯამის მქონე სტუდენტთა შორის უპირატესობა ენიჭება იმ სტუდენტს, რომელიც უნივერსიტეტის სახელით უფრო მეტი საზოგადოებრივი აქტიურობით გამოირჩეოდა.

9. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრულ რომელიმე საგანმანათლებლო პროგრამაზე ვერ განხორციელდება სტიპენდიის გაცემა, ამ პროგრამისთვის გამოყოფილი კვოტის ათვისებას შეძლებს იმ საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, რომელსაც ექნება ყველაზე მაღალი შეფასება სხვა პროგრამის სტუდენტებთან შედარებით.

10. სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მხოლოდ ერთი სტიპენდიით. თუ სტუდენტმა მოიპოვა ორი სტიპენდია იგი მიიღებს იმ სტიპენდიას, რომლისთვისაც უფრო მეტი თანხაა გათვალისწინებული.

11. სკოლის საბჭო უფლებამოსილია განიხილოს ნებისმიერი პირის ინიციატივა ახალი სახელობითი სტიპენდიის დაწესებისა და დაფინანსების შესახებ. სტიპენდიის მინიჭების კრიტერიუმებს სკოლის საბჭოსთან შეთანხმებით ადგენს სტიპენდიის მინიჭებაზე უფლებამოსილი პირი. სტუდენტს სტიპენდია ენიჭება რექტორის ბრძანებით.

12. საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული კვოტების გადანაწილება.

მუხლი 4. სტიპენდიის გაცემა

1. სტიპენდია გაცემა მთელი მომდევნო სემესტრის განმავლობაში და არდადეგების პერიოდშიც მომავალი სემესტრის დაწყებამდე 6 თვის განმავლობაში, კერძოდ, გაზაფხულის სემესტრში მარტიდან-სექტემბრამდე, ხოლო შემოდგომის სემესტრში სექტემბრიდან-მარტამდე.

2. სტიპენდიის გაცემასთან დაკავშირებით გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება.

3. სტიპენდია გაცემა ყოველთვიურად, სტიპენდიის პერიოდში სტიპენდიანტის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ რექტორის ბრძანებით არ შეჩერდა/შეწყდა სტიპენდია.

მუხლი 5. სტიპენდიის შეჩერება და შეწყვეტა

1. სტიპენდიანტისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში მასზე ავტომატურად ჩერდება სტიპენდიის გაცემა, რომელიც აღდგება იმავე სემესტრში სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სტატუსის შეჩერების დღისთვის სტიპენდიის დარჩენილი ვადით.

2. უნივერსიტეტის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების ან ფორსმაჟორული გარემოებების შემთხვევაში უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია შეაჩეროს სტიპენდიის გაცემა, რის შესახებაც წინასწარ წერილობით ატყობინებს სტუდენტს. სტიპენდიის გაცემა აღდგება შესაბამისი გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

3. სტიპენდიის შეწყვეტის საფუძვლებია:

- ა) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
 - ბ) ლექცია/სემინარების სისტემატური გაცდენა, სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიუღებლობა;
 - გ) უნივერსიტეტის შინაგანაწესის და ეთიკის კოდექსის დარღვევა;
 - დ) პირადი განცხადება;
 - ე) უნივერსიტეტის რეპუტაციის შელახვა.
4. სტიპენდიის შეწყვეტის შესახებ სკოლის საბჭო შესაბამისი წარდგინებით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს. სტიპენდიის გაცემა შეწყდება რექტორის ბრძანების გამოცემის მომდევნო თვიდან.